



არაოფიციალური თარგმანი

ევროკომისია

საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში  
ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი

ბრიუსელი, 15 მაისი, 2012

### ერთობლივი სამუშაო დოკუმენტი

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება საქართველოში  
2011 წლის განმავლობაში

ანგარიში საქართველოს შესახებ და სამოქმედო რეკომენდაციები

*რომელიც თან ახლავს*

ევროპარლამენტის, ევროკავშირის საბჭოს, ევროპის ეკონომიკური და სოციალური

კომიტეტის და რეგიონთა კომიტეტის ერთობლივ კომუნიკაციას

ახალი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების შესახებ

[JOIN (2012) 14]  
{SWD (2012) 110  
{SWD (2012) 111  
{SWD(2012) 112  
{SWD(2012) 113  
{SWD(2012) 114  
{SWD(2012) 115  
{SWD(2012) 116  
{SWD(2012) 117  
{SWD(2012) 118  
{SWD(2012) 119  
{SWD(2012) 120  
{SWD(2012) 121  
{SWD(2012) 122  
{SWD(2012) 123  
{SWD(2012) 124

## 1. ზოგადი შეფასება და რეკომენდაციები

წინამდებარე დოკუმენტში ასახულია ევროკავშირი–საქართველოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულების დინამიკა 2011 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე, თუმცა, ანგარიშში ამ ვადის გასვლის შემდეგ მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენებიცაა განხილული. დოკუმენტი არ წარმოადგენს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის ზოგად მიმოხილვას. რეგიონულ და სხვადასხვა სექტორში მიმდინარე მრავალმხრივი პროცესების შესახებ ინფორმაციის მისაღებად დამატებით იხილეთ ანგარიში აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებულ სამოქმედო გეგმას 2011 წლის 31 დეკემბერს გაუვიდა ვადა. თანამრომლობის საბჭოს 1 დეკემბრის სხდომაზე ევროკავშირი და საქართველო შეთანხმდნენ, რომ იქამდე გააგრძელებენ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მოქმედების ვადას, სანამ ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებები საკმარისად განვითარებულ ეტაპზე არ გადავა.

ევროკავშირმა და საქართველომ წარმატებას მიაღწიეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში არსებული ურთიერთობების გაღრმავებისა და გაფართოების საქმეში. ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებები კონსტრუქციულად ჩატარდა და წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა.

საქართველოს მიერ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფლი ვაჭრობის სივრცის (რაც სამომავლო ასოცირების შესახებ სამომავლო შეთანხმების შემადგენელი ნაწილია) შესახებ მოლაპარაკებების დაწყებისთვის აუცილებელი ძირითადი რეკომენდაციების შესრულებაში საკმარისი წინსვლა აღინიშნა. ამ წინსვლის საფუძველზე, დეკემბერში, ევროკავშირი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფლი ვაჭრობის სივრცის შესახებ მოლაპარაკებების დაწყებას დათანხმდა. მოლაპარაკებების პირველი რაუნდი უკვე ჩატარდა.

საქართველომ წარმატებული ნაბიჯები გადადგა ვიზების გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებების – რომელიც 2001 წლის მარტში შევიდა ძალაში– განხორციელების პროცესში. საქართველომ დიდი ინტერესი გამოამჟღავნა ვიზების შესახებ დიალოგის მიმართ, რაც ვიზების ლიბერალიზებისკენ მიმავალ გზაზე გაადგმულ შემდეგ ნაბიჯს წარმოადგენს.

საქართველომ წარმატებული ნაბიჯები გადადგა კორუფციასთან ბრძოლაში. გაგრძელდა პოლიტიკური რეფორმების განხორციელება. რამდენიმე შესწორება შევიდა ძირითად კანონებში პოლიტიკის, მართლმსაჯულებისა და თავისუფლების და უსაფრთხოების სფეროებში. ამავდროულად, კითხვის ნიშნები დარჩა სამართლიანი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის საკითხებში, მათ შორისაა: სხვადასხვა უბანში საარჩევნო კომისიის მოადგილის არჩევისთვის საჭირო ხმათა განსხვავებული რაოდენობა, საარჩევნო დავების გადაწყვეტის მექანიზმში არსებულ ბუნდოვანება, მედიასაშუალებებზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა და მმართველი პარტიის მიერ სახელმწიფო რესურსების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება, რაც არასათანადოა რეგულირებული.

საქართველოს სახელმწიფო მმართველობა კვლავაც ხასიათდება ადმინისტრაციული ხელისუფლების დომინანტური პოზიციით, სუსტი საპარლამენტო ზედამხედველობითა და სასამართლო ხელისუფლების არასაკმარისი დამოუკიდებლობით. მაისში საპროტესტო აქციების ძალისმიერი დაშლის შემდეგ, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მოქმედება და ანგარიშვალდებულება ინტენსიური დაკვირვების საგანი გახდა. სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალის გადაჭარბებული გამოყენების შემთხვევები არ იქნა გამოძიებული. სისხლის სამართლის სექტორის რეფორმირება და მისი ლიბერალიზაცია საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის შეთანხმებული გეგმებისა და პროგრამების მიხედვით მიმდინარეობდა, თუმცა საპყრობილებებში პატიმართა დიდი რაოდენობა კვლავ შეშფოთების საგანია.

ევროკავშირი კვლავ მტკიცედ განაგრძობდა საქართველოს სუვერენობისა და ტერიტორიული მთლიანობის სრულ მხარდაჭერას და ხელს უწყობდა საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში თანათავმჯდომარეობდა ქენევის საერთაშორისო დისკუსიებს. კონფლიქტის მოგვარებაზე მიმართულ ძალისხმევაში მას წამყვანი როლი ეკისრებოდა. ევროკავშირის მონიტორინგის მისიამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სიტუაციის სტაბილიზების საქმეში. თავის მხრივ, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სეპარატისტული რეგიონების მიმართ ჩართულობის სტრატეგიის განხორციელებაში.

რელიგიის თავისუფლების უზრუნველსაყოფად საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. კვლავ შეშფოთების საგანის შრომითი უფლებების დაცვა, კერძოდ, საქართველოს მიერ საერთაშორისო შრომითი უფლებების შესახებ კონვენციების შეუსრულებლობა. არასთანადოდ დაცული საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით შეშფოთება გაიზარდა.

2011 წელს ეკონომიკური შემობრუნების პროცესი უფრო მყარი გახდა, ხოლო მაკროეკონომიკური სტაბილურობა შენარჩუნდა თუმცა, ქვეყნის საგარეო პოზიცია კვლავ მყიფე იყო. მსოფლიოში ეკონომიკური გარემოს გაუარესებამ ზრდაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. ფისკალური კონსოლიდაციის დაჩქარებამ და ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეფორმების ტემპის ზრდამ, საშუალება მისცა საქართველოს, უფრო მეტი წარმატება მიეღწია ამ სფეროში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტების მიღწევაში.

წლევანდელი ანგარიშის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ 2012 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელება გაგრძელდება, საქართველოსთვის შეთავაზებულია შემდეგი:

- უზრუნველყოს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად. დაძლიოს არჩევნების საკანონმდებლო ჩარჩოში

არსებული ხარვეზები არჩევნებამდე საკმარის ვადაში და მხარეებთან კონსულტირებისა და მათი მონაწილეობის საშუალებით.

- უფრო ინტენსიური გახადოს სეპარატისტული რეგიონების მიმართ ჩართულობისა და შერიგების/კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკა *დე ფაქტო* ხელისუფლებასთან პრაგმატული თანამშრომლობისა და ჩართულობისთვის ფინანსური რესურსების გამოყოფის გზით; გადადგას პრაგმატული და კონსტრუქციული ნაბიჯები ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ვაჭრობის, გადაადგილების და ინვესტიციების წახალისების მიმართულებით; გადახედოს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონს; „ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის“ შემოღება მისასალმებელი ნაბიჯია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებთა იზოლაციიდან გამოყვანის გზაზე, თუმცა, სანამ დოკუმენტი ამ რეგიონების მაცხოვრებელთა უფრო ფართო ფენის მიერ არ იქნება მისაღები, ის მგზავრობის ერთადერთი შესაძლებლობა არ უნდა იყოს. სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობისთვის ჯანდაცვის და სხვა სოციალური მომსახურების შეთავაზება შერიგებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია – საჭიროა მისი გაფართოება ისეთი წინაპირობების გარეშე, როგორცაა, მაგალითად, საქართველოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობების მიღების ვალდებულება.
- განაგრძოს და უფრო ინტენსიური გახადოს საქართველოს კონსტრუქციული ჩართულობა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში, კერძოდ, უსაფრთხოების მდგრადი მექანიზმის შემუშავებაზე ერთობლივი მუშაობა. ამ საკითხთან დაკავშირებით აუცილებელი იქნება ძალის გამოუყენებლობის შესახებ მკაფიოდ გამოხატული მზაობა რუსეთის მხრიდან.
- განაგრძოს იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა და უფრო ინტენსიური გახადოს ის მცდელობა, რომელიც მიმართულია იძულებით გადაადგილებულ პირთა შემოსავლით უზრუნველყოფაზე და მათთვის ისეთი პირობების შექმნაზე, რომ ყველა ის იძულებით გადაადგილებული პირი, ვინც თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე დარჩენას გადაწყვეტს, სრულად იყოს ინტეგრირებული საზოგადოებაში.
- განაგრძოს აზრისა და გამოხატვის თავისუფლების განმტკიცება. განახორციელოს „მედიაგამჭვირვალობის შესახებ კანონი“; წინასაარჩევნო პერიოდში უზრუნველყოს დაბალანსებული გაშუქება მედიაში და თანაბრად ხელმისაწვდომი მედია და რეკლამა.
- განაგრძოს სამართლის სისტემის რეფორმირება და განამტკიცოს სასამართლოს დამოუკიდებლობა და ეფექტურობა, უზრუნველყოს სისხლის სამართლის პოლიტიკის და პრაქტიკის შემდგომი ლიბერალიზება ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად; გადახედოს და შეცვალოს ადმინისტრაციული დაკავების წესს სამართლიანი მართლმსაჯულების ნორმების შესაბამისად; პოლიტიკის შემუშავებისას გაითვალისწინოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები.

- გაზარდოს სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულება და მათზე დემოკრატიული ზედამხედველობა; ებრძოდოს დაუსჯელობას და სრულად გამოიძიოს ნებისმიერი ბრალდება სამართალდამცავი ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ.
- გააუმჯობესოს შრომითი უფლებები; სრულად განახორციელოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითადი კონვენციები No 87 *შეკრების და ორგანიზების თავისუფლების შესახებ* და No 98 *ორგანიზაციისა და კოლექტიური მოლაპარაკების შესახებ*, ასევე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოსთვის 2010 წელს გაწეული რეკომენდაციები. დაეხმაროს შრომითი დავების მოგვარების სამართლიანი და გამჭვირვალე მექანიზმის შექმნას და მის ინსტიტუციონალიზაციას, თავიდან აიცილოს ადგილობრივი შრომითი კონფლიქტების ესკალაცია.
- გააგრძელოს სექტორული რეფორმები და ევროკავშირის *acquis* – თან (კანონმთა კრებულთან) მარეგულირებელი ბაზის დაახლოების პროცესი ვაჭრობასა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ სფეროებში. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმისა და ამ ანგარიშში მოცემული ყველა იმ რეკომენდაციის გათვალისწინებით, რომელიც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცისთვის მომზადების ეტაპზე მუშავდება.

## 2. პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა

### *ღრმა და მდგრადი დემოკრატიისკენ სვლა*

2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესების მიზნით, გასული წელს **საარჩევნო რეფორმის** საკითხებზე მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის, სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით, კონსულტაციები გაიმართა. თავდაპირველად პროცესში ყველა დაინტერესებული მხარე იყო ჩართული და ის გამჭვირვალედ მიმდინარეობდა, თუმცა, წლის ბოლოსათვის პოლიტიკური თვალსაზრისით პროცესი დაიძაბა და გაჩნდა ეჭვი, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები პოლიტიკური მიზნებით იყო განპირობებული. საკანონმდებლო აქტებში გარკვეული ცვლილებები უფრო გვიანდელ, პარლამენტში წარდგენის ეტაპზე იყო შეტანილი და მათი შედეგები საქართველოს პოლიტიკური სისტემისთვის ბუნდოვანია.

2011 წლის დეკემბერში საქართველომ მიიღო საარჩევნო კოდექსი, სადაც გათვალისწინებული იყო ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის რეკომენდაციები. ერთ-ერთი რეკომენდაცია გულისხმობდა დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობის მიცემას, არჩევნებში კენჭისყრისთვის საჭირო საქართველოში ცხოვრების ვადის შემცირებასა და ზოგიერთი კატეგორიის პატიმრებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭებას. თუმცა, საარჩევნო კოდექსმა არ გაითვალისწინა ზოგიერთი მთავარი რეკომენდაცია, კერძოდ, სხვადასხვა

საარჩევნო უბანში მოადგილის არჩევას სხვადასხვა რაოდენობის ხმები სჭირდება; ასევე, არ არის ასევე აღმოფხვრილი ბუნდოვანება საარჩევნო დავების მექანიზმში. ივნისში, პარიტეტულ საწყისებზე შეიქმნა საარჩევნო სიის შედგენაზე მომუშავე ახალი კომისია, რომელიც ყველა პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან შედგება. ზოგიერთმა წამყვანმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ უარი თქვა კომისიაში მონაწილეობაზე იმის გამო, რომ კომისიას, როგორც არაპარტიულ ორგანოს, ზედმეტი უფლებამოსილება აქვს მინიჭებული.

2011 წლის დეკემბერში შესწორებები შევიდა ორგანულ კანონში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, რომლითაც შეიზღუდა ბიზნესორგანიზაციებისა და იურიდიული პირების მიერ პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, გაიზარდა და უფრო გამჭვირვალე გახდა პარტიების დაფინანსების საკითხი და მათი ანგარიშვალდებულება. სამოქალაქო საზოგადოებამ შემოთქვა გამოთქვა ამ კანონში არსებულ ბუნდოვანებასთან დაკავშირებით, რაც გართულებს სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკურ საკითხებში აქტიურ მონაწილეობას, ხოლო დაფინანსებაში არსებული შეზღუდვები არათანაბარ გავლენას მოახდენს იმ ოპოზიციურ პარტიებზე, რომლებსაც სახელმწიფო რესურსებზე ნაკლები წვდომა აქვთ. ამჟამად მიმდინარეობს ამ პრობლემების მოგვარებაზე მუშაობა.

**მედიის თავისუფლების** საკითხში კვლავაც არსებობს შემოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ დისტრიბუციის ქსელი არ არის თანაბრად ხელმისაწვდომი ყველასთვის. ამის გამო, შესაძლოა შემცირდეს „მედიაგამჭვირვალობის შესახებ კანონის“ (რომელიც 2012 წლიდან ამოქმედდა) მოსალოდნელი დადებითი შედეგი. სამოქალაქო საზოგადოებამ დადებითად შეაფასა ის პროცესი, რომელიც წინ უძღვოდა ახალი კანონის მიღებას და შეაფასა ის, როგორც მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კონსულტაციებისა და თანამშრომლობის კარგი მაგალითი.

2011 წლის იანვარში ვეტერანთა მშვიდობიანი პროტესტის დაშლამ და შემდეგ, მათში საპროტესტოდ შეკრებილ ადამიანთა ძალადობრივი დაშლამ, შეკრების **თავისუფლებასთან** დაკავშირებული შემოთქვების საფუძველი შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის ჩარევა სამართლებრივად გამართლებული იყო, მან გადამეტებული ძალა გამოიყენა და განახორციელა გაუმართლებელი შეტევები აკრედიტებულ ჟურნალისტებზე, რომლებიც მოვლენებს აშუქებდნენ. ამ მოვლენების შემდგომ მოხდა დაკავებულთა უფლებების დარღვევა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბრალი დასდო ძალოვანი სტრუქტურის რამდენიმე თანამშრომელს, რომელიც მოგვიანებით დისციპლინარული დარღვევის გამო სამსახურიდან იქნა დათხოვნილი. 2011 წლის ივლისის შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონმა ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის ქება დაიმსახურა; აღინიშნა, რომ მან გაცილებით უკეთესი შესაძლებლობა შექმნა საქართველოში შეკრების თავისუფლების უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად მართლმსაჯულების სფეროში რამდენიმე მიმართულებით მიღწეული აშკარა წინსვლისა, ზოგიერთი პრობლემა კვლავ დაუძლეველი რჩება, კერძოდ, **სამართლიანი სასამართლოს უფლების** უზრუნველყოფა. ძირითადი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ პროკურორს ძლიერი პოზიცია უკავია, ხოლო სასამართლოს აკლია დამოუკიდებლობა. ამაზე მეტყველებს გამამტყუნებელი განაჩენების ძალიან მაღალი

მაჩვენებელი (98%), თუმცა გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა 2010 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ გაიზარდა. გამამტყუნებელი განაჩენების მაღალი მაჩვენებლისა და მკაცრი სასჯელების შედეგად გახშირდა საპროცესო შეთანხმების გამოყენების მაჩვენებელი ( საქმეთა 87.5%-ის შემთხვევაში), ხოლო შეთანხმების შედეგად შემოსული თანხები სახელმწიფო ბიუჯეტში ირიცხება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებები, რომელიც ძალაში 2011 წლის ნოემბერში შევიდა, აძლიერებს საპროცესო შეთანხმების პროცედურაზე სამართლებრივ კონტროლს და საგანგებოდ სთხოვს მოსამართლეებს, შეაფასონ პროკურატურასა და მოპასუხე მხარეს შორის დადებული შეთანხმების არამართო კანონიერება, არამედ სამართლიანობაც.

საგრძნობი წინსვლა აღინიშნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, ასევე სისხლის სამართლის სფეროში უფრო ლიბერალური მიდგომის დამკვიდრებაში. ევროკავშირი 2010 წლიდან ეხმარება იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის სფეროში ორი, ერთმანეთის მიყოლებით განხორციელებული მხარდაჭერის პროგრამის საშუალებით, რომლის საერთო ბიუჯეტი 34 მილიონი ევროს აღემატება. იუსტიციის სამინისტრო ძირითად აქცენტს აკეთებს დამნაშავის გამოსწორებაზე ორიენტირებულ სამართალზე, ალტერნატიულ სასჯელსა და მედიაციაზე. მოსალოდნელია, რომ ამ გზით შემცირდება საპროცესო სფეროში პატიმართა რაოდენობა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ერთ-სულზე გათვლით.

2011 წელს მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულმა დანაშაულის შესახებ კვლევამ, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის შესაბამისად ჩატარდა, აჩვენა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანაში მოსახლეობის უსაფრთხოება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. კვლევამ, აჩვენა, ასევე, რომ თანდათანობით იზრდება საზოგადოების ნდობა მართლმსაჯულების სფეროს ინსტიტუტების მიმართ.

საქართველომ მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია კორუფციასთან ბრძოლაში. 2011 წლის დეკემბერში საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით საქართველო 182 ქვეყნიდან 64-ე ადგილზეა, მას 10-დან 4.1 ქულა მიენიჭა (აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი).

აუცილებელია შემდგომი წინსვლა სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაობის გაუმჯობესებასა და მათი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფისთვის. დაკავებისა და წინასწარი პატიმრობისას გადამეტებული ძალის გამოყენება, საპროცესო თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობა და კანონის არათანაბრად გამოყენებასთან დაკავშირებული ეჭვები ჯერ კიდევ შეშფოთებას იწვევს. წამების აღკვეთის კომიტეტმა და სახალხო დამცველმა გააკრიტიკეს გაჭიანურებული გამოძიების შემთხვევები, არასაკმარისი დისციპლინარული ზომები და ფაქტების არასწორი კვალიფიკაციით გამოწვეული ნაკლებად მკაცრი სასჯელები; კომიტეტისა და სახალხო დამცველის რეკომენდაციით ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს მკაფიო გზავნილი, რომ იქნება „ნულოვანი ტოლერანტობა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ“. შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მხრიდან დემოკრატიული ზედამხედველობის ნაკლებობა ასევე შეშფოთების საგანია.

### **კონფლიქტების მოგვარება და ნდობის აღდგენა**

საქართველოს მთავრობამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა სეპარატისტული რეგიონების იზოლაციიდან გამოყვანის და ჩართულობის სტრატეგიის განხორციელების გზაზე; უფრო ინტენსიური გახდა მთავრობის მცდელობა, ჯანდაცვის მომსახურება გაუწიოს სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობას. ჯანდაცვის მომსახურების გაწევა მისასალმებელი და კონსტრუქციული ნაბიჯია შერიგებისკენ; მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი ისეთი წინაპირობების გარეშე გაგრძელდეს, როგორცაა მოთხოვნა, რომ სამედიცინო მომსახურებით მოსარგებლებმა აუცილებლად მიიღონ საქართველოს მიერ დაწესებული პირადობის მოწმობები. საქართველომ, ასევე, შემოიღო „*ნეიტრალური სამედიცინო დოკუმენტი*“, რომელიც სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობის საქართველოს საზღვრებს გარეთ მგზავრობისთვისაა დაწესებული. ამ დოკუმენტის შემოღება მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოს მიერ ჩართულობის სტრატეგიის განხორციელების გზაზე, თუმცა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* ხელისუფლების მხრიდან მის გამოყენებაზე დღემდე გამოთქმული მტკიცე უარის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ ის შენარჩუნდეს და გამოიყენებოდეს, როგორც დეიზოლაციის დამხმარე ვარიანტი და არა როგორც აფხაზეთისა და ოსეთის უცხოეთში გამგზავრების ერთადერთი საშუალება და არ შეფერხდეს ნდობის აღდგენის და დიალოგის ინიციატივები. ჩართულობის სტრატეგიის ეფექტური განხორციელებისთვის „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის“ გამოყენება კვლავ პრობლემურ საკითხად რჩებოდა.

2011 წელს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში *დე ფაქტო* საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. ევროკავშირმა არ აღიარა ის საკონსტიტუციო თუ სამართლებრივი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც ეს არჩევნები ჩატარდა.

ევროკავშირი მტკიცედ განაგრძობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენობის პატივისცემას და მხარს უჭერს საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთი სეპარატისტული რეგიონების ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სიტუაცია შედარებით სტაბილური იყო, თუმცა რეგულარულად ხდებოდა სერიოზული ინციდენტები. ევროკავშირის მონიტორინგის მისია ერთადერთი საერთაშორისო სტრუქტურაა, რომელიც ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიმდებარე ტერიტორიაზეა წარმოდგენილი. სტრატეგიული შეფასების შემდეგ, მისიას 2011 წლის სექტემბერში კიდევ ერთი წლით გაუგრძელდა ვადა. მონიტორინგი მისიის მუშაობის შეფასების შედეგად დადგინდა, რომ მან კარგად შეასრულა დაკისრებული სტაბილიზაციის და ნდობის აღდგენის ამოცანა, თუმცა მანდატით მინიჭებული უფლებამოსილების სრულად შესრულების თვალსაზრისით, სეპარატისტული რეგიონებში გადაადგილების შეზღუდვა მისიისთვის კვლავ გამოწვევად რჩებოდა.

იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ მოსაგვარებელია რამდენიმე ძირითადი საკითხი. კვლავ პრობლემურია მთავრობის მიერ განხორციელებული იძულებით გადაადგილებულ პირთა „განსახლების“ პრაქტიკა, თუმცა თანდათანობითი გაუმჯობესება მაინც შეიმჩნეოდა. მიმდინარე პრობლემურ საკითხთა შორისაა მოსალოდნელი გასახლების შესახებ იძულებით გადაადგილებულ პირთა შეტყობინება და ინფორმირება, შეუფერებელი ალტერნატიული საცხოვრებლის



შეთავაზება და იძულებით გადაადგილებულ პირთა კონკრეტული თავისებურებების გაუთავლისწინებლობა. ევროკავშირი იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებას საბიუჯეტო დახმარების პროგრამისა და ტექნიკური დახმარების საშუალებით განაგრძობს. საანგარიშო პერიოდში ევროკავშირის მიერ იძულებით გადაადგილებული პირებისთვის გაწეული საბიუჯეტო დახმარება 43.5 მილიონ ევროს შეადგენს. ამ დაფინანსების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა 860 ოჯახმა ახალი საცხოვრებელი მიიღო.

იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების მოგვარებაში წინსვლაც აღინიშნა. მას შემდეგ, რაც იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ცხელი ხაზი შეიქმნა, ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა თბილისის მისაღები სრული მომსახურების გაწევის ცენტრად გადაიქცა, ოთხი დამატებითი რეგიონული სერვის ცენტრის გახსნამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის გასაწევი მომსახურების ეფექტურობა და ხარისხი. თუმცა რეინტეგრაციის სამინისტროში ჯერ კიდევ რჩება სტრუქტურული და ადამიანური რესურსების ნაკლებობით გამოწვეული პრობლემები. საქართველომ მეტწილად შეასრულა 2010 წელს შემუშავებული პრინციპები, რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ადგილების უზრუნველყოფას შეეხება.

### ***ადამიანის სხვა უფლებები და მმართველობასთან დაკავშირებული საკითხები***

ადამიანის უფლებების სფეროში **ომბუცმენისადმი** (სახალხო დამცველი) მაღალი დონის ნდობასა გაგრძელდა. საპარლამენტო და სახალხო დამცველის მიერ მომზადებულმა სპეციფიკური მონიტორინგის ანგარიშებმა სტიმული მისცა საზოგადოებრივ დისკუსიასა და სახელმწიფო პოლიტიკაში კონკრეტული ცვლილებების გატარებას. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშის წარდგენის წინ საპრობლემატიკურ ჯანდაცვის სისტემის სრული გადახალისება. მიუხედავად ფინანსური სირთულეებისა, 2011 წელს მთავრობამ გაზარდა სახალხო დამცველისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობა სახალხო დამცველი ერთ-ერთი მთავარი ინსტიტუტია, რომელიც დახმარებას იღებს ევროკავშირის „ფართომასშტაბიანი ინსტიტუციური მშენებლობის“ (CIB) პროგრამიდან.

**გენდერული** სამოქმედო გეგმა თანამიმდევრულად ხორციელდებოდა. ძალაში დარჩა ოჯახური ძალადობის საკითხში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემები; სახელმწიფო საკოორდინაციო მექანიზმი, რომელიც ამ საკითხში პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა, ვერ ფუნქციონირებს. სახელმწიფო თანამდებობებზე ქალები კვლავ ნაკლებად არიან წარმოდგენილნი.

**რელიგიის თავისუფლების** სფეროში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატება იყო სამოქალაქო კოდექსში შეტანილი შესწორებები, რომელიც რელიგიურ ორგანიზაციებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით დარეგისტრირების უფლებას აძლევს და გზას უხსნის იმისთვის, რომ ლოცვისა და რელიგიური ცერემონიებისთვის განკუთვნილი ქონების მესაკუთრენი გახდნენ. თუმცა, ქონებრივი უფლებებისა და საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ეკლესიების რესტიტუციის საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. **ეთნიკური უმცირესობები** ნაკლებად არიან წარმოდგენილნი სახელმწიფო მართვის ორგანოებში. საქართველოს ევროპის რეგიონული და

უმცირესობების ენების ქართიაზე ხელი არ მოუწერია. **სქესობრივი ნიშნით** დისკრიმინაცია ქართულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ პრობლემურ საკითხად რჩება. **შეზღუდულ შესაძლებლობის პირთა** მარგინალიზაცია კვლავ გრძელდება; საქართველოს არ მოუწერია ხელი გაეროს შესაბამისი კონვენციისთვის.

მზარდ შემფოთებას იწვევს საქართველოში **ქონებრივი უფლებების** სრულად დაცვის საკითხი. ახლახანს წარმოიშვა მნიშვნელოვანი რაოდენობის დავები, რომელიც უკავშირდება იმ მიწის ფლობის საკითხს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ტრადიციულად იყენებდა. ეს დავები მიწის კანონიერი მფლობელობის არარსებობამ თუ მისმა ბუნდოვანებამ გამოიწვია. საკითხს კიდევ უფრო ის ართულებს, რომ არ ხდება მოსახლეობასთან შეთანხმება და მისი სათანადოდ ინფორმირება ადგილობრივი განვითარების იმ გეგმების შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრებაზე. კიდევ ერთი პრობლემა სახელმწიფო მფლობელობაში არსებული ქონების პრივატიზებისას გამოყენებულ გაუმჭვირვალე პროცედურებს უკავშირდება.

### *თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში*

2011 წელს ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის 82 დეკლარაციიდან, რომელთან შეერთება საქართველოსთვის იყო შემოთავაზებული, საქართველო 42 დეკლარაციას შეუერთდა. 2011 წლის განმავლობაში საქართველოსთან ინტენსიური პოლიტიკური დიალოგი გაიმართა, მათ შორისაა ივნისში გამართული პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის დიალოგი, ასევე, გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის ევროკომისიის ვიზიტი ივლისში და ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში უმაღლესი წარმომადგენლის ვიზიტი ნოემბერში.

### **3. ეკონომიკური და სოციალური რეფორმა**

#### *მაკროეკონომიკური ჩარჩო და ქმედითი საბაზრო ეკონომიკა*

2010 წელს სიტუაციის წარმატებული შემობრუნების შემდეგ (რეალური მშპ-ს 6.3% – ით ზრდა), 2011 წელს 6.8%-იანი ეკონომიკური **ზრდა** დაფიქსირდა. სურსათსა და საწვავზე საერთაშორისო ფასების ზრდის გამო, 2011 წელს ინფლაციის მაჩვენებელი გაიზარდა (2010 წელს 7.1%) და 8.5%-ს მიაღწია. ფისკალური დეფიციტი 2010 წლის 6.6%-დან 2011 წელს მშპ-ის 3.6%-მდე შემცირდა. 2012 წლის ბიუჯეტში, რომელიც 2011 წლის დეკემბერში დამტკიცდა, დეფიციტი მშპ-ს 3.5%-ია.

მიმდინარე ანგარიშის დიდი და მზარდი დეფიციტის გამო, საქართველოს საგარეო ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ მყიფეა: 2010 წელთან შედარებით, როდესაც დეფიციტი მშპ-ს 9.6.-ს შეადგენდა, 2011 წელს დეფიციტმა 12.7% მიაღწია. საქართველოდან ექსპორტზე კვლავ უარყოფითად მოქმედებს რუსეთის მიერ 2006 წელს დაწესებული სავაჭრო ემბარგო. მაღალი სავაჭრო დეფიციტი ნაწილობრივ ტურიზმიდან მზარდმა შემოსავლებმა და უცხოეთიდან ოჯახურმა გზავნილებმა შეავსო. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდამ და სახელმწიფო დახმარებებმა ხელი შეუწყო მიმდინარე

ანგარიშის დეფიციტის შევსებას. 2011 წელს დაგეგმილი იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 650 მილიონ ევრომდე (დაახლოებით მშპ-ს 6.3%) ზრდა შედარებით 2010 წელთან, როდესაც ეს მაჩვენებელი 440 მილიონ (მშპ-ს 5%) ევროს შეადგენდა.

2010 წლის მიწურულს სახელმწიფო რეზერვებმა 2.3 მილიარდი აშშ დოლარიდან (1.75 მილიარდი ევრო) 2011 წლის ბოლოსთვის (დაახლოებით 5 თვის იმპორტი) 2.8 მილიარდი (2.25 მილიარდი ევრო) შეადგინა. საგარეო ვალი 2011 წელს შედარებით მაღალ ნიშნულზე დარჩა (მშპ-ს 62%). უახლოეს წლებში სახელმწიფო ვალის უკიდურესად მაღალ ნიშნულამდე მოსალოდნელი ზრდა შემფოთებას იწვევს. 2013–2015 წლებში მნიშვნელოვანი ოდენობის საგარეო ვალის გადახდის ვალდებულების შესრულება უნდა დაიწყოს, რაც 2008 წელს აღებული 500 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ევროობლიგაციების და სავალუტო ფონდის სტენდბაი მექანიზმის ფარგლებში გაწეული დიდი ხარჯების ანაზღაურებას გულისმობს.

საქართველო საკმაოდ განვითარებულია იმისთვის, რომ გახდეს ქმედითი საბაზრო ეკონომიკის ქვეყანა, რომელშიც ბიზნეს გარემოს კუთხით შთამბეჭდავი გაუმჯობესება შეინიშნება. მცირე ხანში ქვეყანა სამომავლო ეკონომიკური განვითარების ახალი სტრატეგიის მიღებას გეგმავს.

### **დასაქმება და სოციალური პოლიტიკა**

ზუსტი მონაცემები **სიღარიბის** შესახებ არ არის ხელმისაწვდომი, თუმცა სოციალური სააგენტოს მონაცემებით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის მხოლოდ მესამედი იმყოფება.

ეკონომიკის გაჯანსაღების მიუხედავად, **უმუშევრობის** დონე ყველაზე მაღალია რეგიონში და 2010 წელთან შედარებით თითქმის არ შეცვლილა (16.5% 2011-ში და 16.3% 2010-ში). 2010 წელს ქალთა შორის უმუშევრობის მაჩვენებელი მამაკაცთა შორის უმუშევრობის მაჩვენებელთან შედარებით (17.9%), უფრო დაბალი იყო (14.5%) თუმცა, შესაძლოა ეს ქალების შრომით ბაზარზე უფრო ნაკლები მონაწილეობით არის განმპირობებული.

2011 წლის ოქტომბერში მთავრობამ გამოაქვეყნა სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის 10-პუნქტიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მოდერნიზაციასა და **დასაქმებას**, სოციალური პოლიტიკის დახვეწის ჩათვლით. ამ პაკეტის ფარგლებში შეთავაზებული იყო მცირე საგადასახადო შეღავათები იმ კომპანიებისთვის რომლებიც 45-დან 60 წლამდე ასაკის ადამიანებს დაასაქმებდნენ და მიზნად ისახავდა დასაქმების გაზრდას ამ ასაკობრივ ჯგუფში.

ივლისში, განათლების სამინისტრომ, დამსაქმებელთა ასოციაციამ და პროფკავშირებმა ხელი მოაწერეს „შეთანხმებას პროფესიულ განათლებასა და ტრეინინგში სოციალური პარტნიორობის პოლიტიკის შესახებ“, რომლის მიზანი იყო კონკრეტული შრომითი უნარ-ჩვევების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მისადაგების პროცესის გაუმჯობესება.

**სოციალური დაცვის** სფეროში, საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის მონაცემების მიხედვით, სახელმწიფოს მიერ დაზღვეულთა რაოდენობა 2010 წლის მაისისიდან თითქმის 16%-ით შემცირდა (857,142 ადამიანი).

**შრომითი უფლებების** საკითხი კვლავ სერიოზულ შემფოთებას იწვევს. შემფოთების საგანია, ასევე ის, რომ არასათანადოდ სრულდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითადი კონვენციები No 87 *შეკრების და ორგანიზების თავისუფლების შესახებ* და No 98 *ორგანიზაციისა და კოლექტიური მოლაპარაკების შესახებ*. მთავრობა აგრძელებდა დიალოგს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან, თუმცა მთავრობის მხრიდან არ ყოფილა მკაფიოდ გაცხადებული, თუ რა ნაბიჯები გადაიდგმება იმ აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების შეტანის კუთხით, რომლის შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ საქართველოს 2010 წელს რეკომენდაციები მიაწოდა.

შეხვედრები სამმხრივი **სოციალური დიალოგის** ფარგლებში რეგულარულად მიმდინარეობდა, ხოლო სამმხრივი კომისიის მუშაობა დეკემბერში განახლდა. ამ პროცესის შედეგად ჯერ კიდევ უნდა შეიქმნას დამსაქმებლებს (მათ შორის მთავრობის, როგორც დამსაქმებლის) და პროფკავშირებს შორის შეთანხმებული მედიაციის ქმედითი მექანიზმი.

**სოფლის მეურნეობის** სფეროში 2011 წლის ივლისში საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ევროკავშირის დახმარებით შეიმუშავა გრძელვადიანი სასოფლო სამეურნეო სტრატეგია, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2012 წლის მარტში დაამტკიცა. 2012 წელს გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამის დაწყება, რომლის საერთო ბიუჯეტი 40 მილიონ ევროს შეადგენს.

თევზჭერის **სფეროში** საქართველომ უნდა განამტკიცოს სახელმწიფო ზედამხედველობა თევზსაჭერ ფლოტზე, რადგან საქართველოს ეროვნული დროშის ქვეშ მცურავი რამდენიმე თევზსაჭერი გემი ჩართულია თევზჭერის არალეგალურ, ფარულ და არარეგულირებულ საქმიანობაში.

#### **4. ვაჭრობის საკითხები, ბაზარი და მარეგულირებელი რეფორმა**

2011 წლის განმავლობაში **ორმხრივი ვაჭრობა** თანაბარი ტემპით იზრდებოდა, თუმცა ჯერ იმპორტის და ექსპორტის მონაცემები არ არის სრულად გაუმჯობესებული 2011 წელს ორმხრივი ვაჭრობის სრულმა მოცულობამ 2.2 მილიარდი ევრო შეადგინა. ევროკავშირიდან საქართველოში იმპორტის მაჩვენებელი უფრო დინამიურია, ვიდრე საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტი. შესაბამისად, ევროკავშირიდან საქართველოში იმპორტმა 36.9%-ით, ხოლო საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტმა 8.2%-ით იმატა. თუმცა, საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტი, ძირითადად რამდენიმე დაბალი დამატებული ღირებულების მქონე საქონლის ექსპორტით შემოიფარგლება (კერძოდ, საქართველოდან ისეთი პროდუქციის, როგორცაა საწვავი და წიაღისეული, იმპორტმა 69.1% შეადგინა).

საქართველო კვლავ სარგებლობდა მდგრადი განვითარებისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობის სპეციალური სტიმულებით, ანუ GSP+ სისტემით, ევროკავშირის პრეფერენციების განზოგადებული სისტემის ფარგლებში. ამ პრეფერენციებმა ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს საექსპორტო საქონლის სტრუქტურის დივერსიფიკაციასა და გააუმჯობესოს საქართველოდან ექსპორტი. თუმცა, ზემოხსენებული სისტემით სარგებლობა დამოკიდებულია ქვეყნის მიერ ადამიანის უფლებებისა და შრომის უფლებების, გარემოს დაცვისა და კარგი მმართველობის შესახებ საერთაშორისო კონვენციების შესრულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ 2011 წელს საქართველომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან დიალოგში წინსვლას მიაღწია და ამ ორგანიზაციის ზოგიერთი რეკომენდაცია გაითვალისწინა, ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ შესასრულებელია, კერძოდ საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა პროფკავშირების შესახებ კანონსა და შრომის კოდექსში.

საქართველომ დარჩენილი „ძირითადი რეკომენდაციების“ შესრულების მტკიცე ძალისხმევა გამოიჩინა, რაც ღრმა და ყოვლისმომოცველი თავისუფლი ვაჭრობის სივრცის შესახებ მოლაპარაკებების დაწყებამდე, ვაჭრობასთან დაკავშირებულ ძირითად სფეროებში სავალდებულო მარეგულირებელი რეფორმების განხორციელებას გულისხმობდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის საფუძველზე. 2011 წლის დეკემბერში ევროკავშირმა დაასკვნა, რომ საქართველოს მიერ მიღწეული წინსვლა საკმარისი იყო ღრმა და ყოვლისმომოცველი თავისუფლი ვაჭრობის სივრცის შესახებ მოლაპარაკებების დასაწყებად, თუმცა, ვაჭრობასთან დაკავშირებულ სფეროებში განხორციელებული რეფორმები ჯერ კიდევ შორსაა საბოლოო ეტაპიდან და საქართველომ უნდა გააგრძელოს მათი განხორციელება იმისთვის, რომ მომავალში სრულად ისარგებლოს ღრმა და ყოვლისმომოცველი თავისუფალი ვაჭრობის არეალში ჩართვით, კერძოდ, საქართველომ უნდა გააფართოვოს საექსპორტო ბაზა და მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ევროკავშირის „ყოვლისმომოცველი ინსტიტუციური მშენებლობის პროგრამის“ ფარგლებში მოხდება ვაჭრობასთან დაკავშირებულ ძირითად სფეროებში მოქმედი უწყებების დახმარება სტანდარტების, მეტროლოგიის, აკრედიტაციისა და სურსათის უვნებლობის საკითხებში.

2011 წელს ძალაში შევიდა ერთიანი საგადასახადო კოდექსი, რომელიც **საბაჟო** კოდექსის რამდენიმე დებულებასაც მოიცავს. წარმოშობის სერტიფიკატების გაცემის უფლებამოსილება საბაჟოს უნდა გადაეცეს. ევროკავშირის (1 800 000 ევროს ღირებულების) „დამშობილების“ პროექტი, რომელიც საბაჟოსა და სანიტარული და ფიტოსანიტარული კონტროლის საკითხებში დახმარებას ითვალისწინებს, სექტემბერში დაიწყო. მისი მიზანია, გააძლიეროს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

2011 წლის ივლისში მთავრობამ პარლამენტში დასამტკიცებლად შეიტანა საქონლის უსაფრთხოებისა და **თავისუფალი გადაადგილების** შესახებ კანონი და შეატყობინა ევროკომისიას იმ გეგმის შესახებ, რომელიც შიდა ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის შექმნას ითვალისწინებს. საქართველომ მარეგულირებელი ორგანოებისთვის ჩაატარა ინსტიტუციური ნაკლოვანებების შეფასება და მიღებული შედეგების საფუძველზე 2011 წლის ივლისში ინსტიტუციური რეფორმის გეგმა შეიმუშავა. 2011 წლის ნოემბერში საქართველო გახდა „ევროპული თანამშრომლობა აკრედიტაციაში“ მექანიზმის

ასოცირებული წევრი. ევროკავშირის „დამმობილების“ პროექტის დახმარებით, მთავრობამ მიიღო ლიფტებისა (2011 წლის ივლისში) და საბაგირო გზების (2011 წლის აგვისტოში) უსაფრთხოების ტექნიკური რეგულაციები, როგორც პირველი პრიორიტეტული სექტორი. თუმცა, იმის აღიარება, რომ „ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) ზოგიერთი წევრი ქვეყნიდან იმპორტირებული საქონელი მწარმოებელი ქვეყნის სტანდარტებს შეესაბამება, ევროკავშირის კანონმდებლობას ეწინააღმდეგება.

**სანიტარული და ფიტოსანიტარული** საკითხების კუთხით საქართველომ დაიწყო სურსათის უვნებლობის სტრატეგიის განხორციელება. სანიტარული და ფიტოსანიტარული კანონმდებლობა, ჩარჩო კანონმდებლობის ჩათვლით (სურსათის უვნებლობის კოდექსი), შემუშავების პროცესშია. საქართველომ შეიმუშავა და მიიღო სურსათის უვნებლობის საგენტოს წესდება და ევროკავშირის დახმარებით სააგენტოს თანამშრომლები მოამზადა. ევროკავშირის „დამმობილების“ პროექტის ფარგლებში დაიწყო საზღვრებზე სანიტარული და ფიტოსანიტარული კონტროლის განმტკიცებაში დახმარება. დღეისთვის საზღვარზე სანიტარული და ფიტოსანიტარული კონტროლი მიმდინარეობს.

**ბიზნეს გარემოს და კომპანიების დაფუძნების** სფეროში მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ 2012 წლის წლიური ანგარიშის მიხედვით, საქართველომ 2011 წელს მე-17 ადგილიდან (2010 წელს) მე-16 ადგილზე გადაინაცვლა. კერძოდ, წინსვლა აღინიშნა ქონების დარეგისტრირების სფეროში მას შემდეგ, რაც 2011 წლის ოქტომბერში ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონში ცვლილებები შევიდა. მცირე და საშუალო ბიზნესისთვის (იხ. ქვემოთ) გამარტივებული საგადასახადო რეჟიმმა ხელი შეუწყო ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას. მიუხედავად იმისა, რომ კორუფციამ იკლო, კომპანიები კორუფციას კვლავ მიიჩნევენ ბიზნესის დამაბრკოლებელ გარემოებად.

რაც შეეხება **კომპანიების კანონმდებლობის** სფეროს, 2011 მარტში შესწორებები იქნა შეტანილი ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონში იმისთვის, რომ დაცული ყოფილიყო უმცირესი წილის მფლობელთა უფლებები და დარეგულირებულიყო ინტერესთა კონფლიქტი. **აუდიტის** სფეროში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა.

2011 წლის 1 იანვარს საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც **ფინანსური მომსახურების** სფეროს ერთადერთი მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობა კონსტიტუციით გამყარდა. თებერვალში ბანკმა 10–დან 15%-მდე გაზარდა უცხოურ ვალუტაში რეზერვების არსებობის მოთხოვნა, ხოლო 2011 წლის ივნისში – მომხმარებლისთვის მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესები შემოიღო. დეკემბერში პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა ეროვნული ბანკის შესახებ კანონში და უფლება მიანიჭა ბანკს, მოიპოვოს ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია (კონფიდენციალური ინფორმაციის ჩათვლით) იმ ფინანსური სექტორიდან, რომელსაც ბანკი ზედამხედველობას უწევს.

### **სხვა მნიშვნელოვანი სფეროები**

2011 წლის იანვრიდან, ახალმა **საგადასახო** კოდექსმა შემოიტანა ბიზნესისთვის ხელსაყრელი საგადასახადო პროცედურები “მიკრო” (ბრუნვა < 30 000 ლარი ) და “მცირე” (ბრუნვა < 100 000 ლარი) ბიზნესისთვის. დივიდენდებზე დაწესებული გადასახადი 10%-დან 5%-მდე იკლო, ხოლო საგადასახადო დავებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის ხანგრძლივობა მაქსიმალური 125 დღიდან 65 დღემდე შემცირდა. დღგ-ს შესახებ დეკლარირების მექანიზმი გამარტივდა და შემოღებულ იქნა განაცხადების შეტანის და გადახდის ელექტრონული სისტემა. დაინიშნა საგადასახადო ომბუცმენი, რომლის ფუნქციაა, გადასახადის გადამხდელთა უფლებების დარღვევების განხილვა და ადმინისტრაციისთვის კონსულტირების გაწევა. საქართველოში გრძელდება აქტიური გადასახადის მოქმედება ჯართის ექსპორტზე. ძალაში შევიდა ორმაგი დაბეგრვის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება ესპანეთთან და ცვლილებები ორმაგი დაბეგრვის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებაში გაერთიანებულ სამეფოსა და ესტონეთთან. 2011 წლის აპრილში საქართველო შეუერთდა „საგადასახადო მიზნებისთვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის მსოფლიო ფორუმს.“

2011 წლის ივლისში მთავრობამ შეიმუშავა კანონპროექტი თავისუფალი ვაჭრობის და **კონკურენციის** შესახებ, რომლითაც გათვალისწინებული იყო ანტიტრასტული, კომპანიების შერწყმის კონტროლისა და **სახელმწიფო დახმარების** წესების შემოღება. ევროკავშირმა მთავრობას წარუდგინა შენიშვნები კანონპროექტით დაშვებულ ზოგიერთ გამონაკლისთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კომპანიებს სჭირდებად საკანონმდებლო სიცხადე იმ შემთხვევებში, როდესაც განხორციელდება კომპანიების შერწყმის შემდგომი (ex-post) კონტროლი. ევროკომისიამ, ასევე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ კანონის აღსრულებისთვის აუცილებელია ინსტიტუციური და ადმინისტრაციული შესაძლებლობების/გაზრდა.

რაც შეეხება **ინტელექტუალური საკუთრების უფლებების** დაცვის სფეროს, პირატული პროდუქციის და ფალსიფიცირების შესახებ 2010 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების შესასრულებლად, საქართველომ ნაბიჯების გადადგმა დაიწყო, კერძოდ, ივლისში ყველა დაინტერესებული მხარისა და ევროკავშირის მონაწილეობით, შეიქმნა საავტორო უფლებების დაცვის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. საქართველო მუშაობს პოლიციაში მაღალი დონის ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი დანაშაულის განყოფილების შექმნაზე და დაიწყო სტატისტიკური მონაცემების შეგროვება საზღვარზე ფალსიფიცირებული პროდუქციის ჩამორთმევის შემთვევების შესახებ. შეიცვალა საქართველოს საავტორო უფლებების ასოციაციის (კოლექტიური მმართველობის საზოგადოება) დამდუმნებელი დებულება და დღეისათვის ის მომიჯნავე უფლებების დაცვაზეც არის პასუხისმგებელი.

2011 წელს საქართველომ შეიმუშავა **სტატისტიკის** ეროვნული სისტემის განვითარების სამუშაოვადიანი სტრატეგია და დანერგა სპეციალიზებულ მონაცემთა გამოქვეყნების სტანდარტი. საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დახვეწის მიზნით, ცვლილება შევიდა სტატისტიკის შესახებ კანონში. საქართველომ მეტი ძალისხმევა უნდა მონადომოს სტატისტიკის სისტემის განვითარებას და ამისთვის საკმარისი ფინანსური რესურსი უნდა გამოყოს. უნდა ჩატარდეს მოსახლეობის აღწერა და ასეთი დიდი მასშტაბის საქმიანობისთვის შესაბამისი ფინანსური რესურსები უნდა გამოიყოს.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორი და **საწარმოთა პოლიტიკის** წინაშე მდგარი მთავარი გამოწვევა არის ფინანსური რესურსების მაღალი ღირებულება და /ან თანამდევნი მოთხოვნები. მთავრობამ გააფართოვა ქონების ჩამონათვალი, რომელიც შეიძლება გირაოდ იქნას გამოყენებული. საექსპორტო პოტენციალის გაზრდის და უცხოურ კომპანიებთან/უცხოელ ინვესტორებთან მეტი სავაჭრო ურთიერთობების დამყარების მიზნით, ამუშავდა ახალი ინტერნეტპორტალი; როგორც საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, ისე ბათუმის საინვესტიციო სააგენტო პოტენციურ ინვესტორებს ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელებულ მომსახურებას სთავაზობს. გრძელდება პრივატიზების მიზნით გამართული ვაჭრობა, ხოლო 2011 წელს შემოდებულ იქნა ელექტრონული აუქციონები.

2011 წლის სექტემბერში **სახელმწიფო შესყიდვების** ელექტრონული სისტემა ორენოვანი (ქართული და ინგლისური) გახდა. მას შემდეგ, რაც ელექტრონული შესყიდვები იქნა შემოდებული, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ცნობით მნიშვნელოვანი თანხები დაიზოგა (15–20%).

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ფინანსთა სამინისტრო მტკიცედ აგრძელებდა სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის განხორციელებას, რაც ევროკავშირის დახმარებით მიმდინარე მაკროსაფინანსო სტაბილურობის პროგრამის აუცილებელი პირობაა. ამ რეფორმის ყველა სხვა სექტორში განხორციელების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ევროკავშირი ფინანსთა სამინისტროს 2007 წლიდან ეხმარება. დახმარება საბიუჯეტო და ტექნიკური დახმარების საშუალებით ხორციელდება. 2011 წლის იანვარში დაწყებული სახელმწიფო ფინანსების მართვის პროგრამის ფარგლებში, რომლის საერთო ბიუჯეტი 11 მილიონი ევროა, საქართველომ 2011 წლის დეკემბერში მიიღო ახალი **კანონი საჯარო შიდა ფინანსური კონტროლის** შესახებ. 2011 წლის მეორე ნახევარში ამოქმედდა შიდა აუდიტის საჭოები (რომლებიც ჰარმონიზების ცენტრალური ორგანოს ფუნქციას ასრულებს), თუმცა მათი შესაძლებლობები შეზღუდულია.

2010 წელს კონტროლის პალატამ გარე აუდიტის პოტენციალის ზრდის გეგმის შემუშავებისთვის თანხები მიიღო, რითაც დამატებით 78 თანამშრომელი აიყვანა და საჭირო კომპიუტერული ტექნიკის 40% შეისყიდა. კონტროლის პალატამ გამოსცა ფინანსური აუდიტის მეთოდოლოგია და მოამზადა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტი. მან რამდენიმე სამინისტროში საცდელი აუდიტი ჩაატარა და აუდიტის სახელმძღვანელო შეიმუშავა.

## **5. თანამშრომლობა მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროებში**

საქართველოს **საზღვრის ინტეგრირებული მართვის** განახლებული სტრატეგია პრეზიდენტს ხელმოსაწერად 2011 წლის დეკემბერში გადაეცა. 2011 წლის თებერვალში სომხეთთან სასაზღვრო გადასასვლელ პუნქტში ერთობლივი ოპერირების შესახებ მიღწეული შეთანხმების წყალობით, წინსვლა აღინიშნა საზღვრის მართვის სფეროში თანამშრომლობაში. 2012 წლის ოქტომბერში აღმოსავლეთ პარტნიორობის საზღვრის



ინტეგრირებული მართვის საფლაგმანო ინიციატივის ფარგლებში დაიწყო პროექტი, რომლის მიზანია საზღვრის მართვის შესაძლებლობების გაზრდა საქართველო-სომხეთის ნინოწმინდა-ბაგრას მონაკვეთზე.

2010 წელს მიგრაციის სახელმწიფო კომისიის შექმნის შემდეგ, საქართველომ წამოიწყო **მიგრაციის** მართვის გაუმჯობესებაზე მიმართული საქმიანობა, კერძოდ, მიგრაციის ფართომასშტაბიანი სტრატეგიის შემუშავება (რომლის პირველი პროექტი მზადაა და უახლოეს ხანში განხილული იქნება სახელმწიფო კომისიის მიერ) და ცენტრალური მონაცემთა ბანკის შექმნა. **ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის** შესახებ კანონი 2011 წლის დეკემბერში იქნა მიღებული.

ერთობლივი კომიტეტების 2011 წლის ივნისისა და ნოემბრის სხდომებზე გაკეთებული შეფასებების თანახმად, 2011 წლის მარტში ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზების გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებების განხორციელება შეფერხებების გარეშე დაიწყო. რეადმისიის შეთანხმების განხორციელების მიზნით, ევროკავშირი-საქართველოს „პარტნიორობა მობილურობისთვის“ პროგრამის ფარგლებში ახალი, დამატებითი დახმარება გამოიყო რეადმისიის მართვის და რეადმისიის შესახებ განაცხადების დამუშავების შესაძლებლობების გაზრდისთვის. ევროკავშირი-საქართველოს „პარტნიორობა მობილურობისთვის“ პროგრამის ფარგლებში, შეიქმნა, ასევე, მობილურობის ცენტრი და მობილურობის ადგილობრივი პლატფორმა.

ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის 2011-2012 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის საფუძველზე საქართველომ ეფექტური **ბრძოლა წარმართა ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ**, მათ შორისაა სამართალდამცავი სტრუქტურების და სასამართლოს თანამშრომლებისთვის ფართო სპექტრის ტრენინგის ჩატარება; ასევე, სკოლებში გათვითცნობიერებულობის გაზრდისა და პრევენციის პროგრამები განხორციელდა. დეკემბერში ჩატარდა სხვადასხვა გაცვლითი ვიზიტები თურქეთსა და აზერბაიჯანში.

**ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში** საქართველოს ჯერ არ მოუხდენია რამდენიმე ისეთი მნიშვნელოვანი კონვენციის რატიფიცირება, როგორცაა “ცეცხლსასროლი იარაღის, მისი ნაწილების, კომპონენტების და ამუნიციის არალეგალური წარმოების და ტრეფიკინგის შესახებ” კონვენციის მესამე ოქმი, “სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ” ევროპის საბჭოს 2007 წლის კონვენცია და ევროპული კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის **ნარკოტიკების** შესახებ პირველი დიალოგი სექტემბერში გაიმართა. გარკვეული წარმატება აღინიშნა პრევენციის და რეაბილიტაციის სფეროში, კერძოდ, შეიქმნა ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკოდამოკიდებულების ეროვნული ცენტრი. თუმცა, საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს ფართომასშტაბიანი ანტინარკოტიკული სტრატეგია და სამუშაო გეგმა.

დეკემბერში, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასა და პოლიციის ევროპულ კოლეჯს (CEPOL) შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია **პოლიციის სფეროში თანამშრომლობის** კუთხით. საქართველოს ჯერ კიდევ არ მოუწერია ხელი

მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობის სფეროში მოქმედი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონვენციებისთვის.

2011 წლის დეკემბერში პარლამენტმა მიიღო კანონი მონაცემთა დაცვის შესახებ. პირადი მონაცემების ეფექტური დაცვა “ევროპოლთან” და “ევროჯასტთან”, ასევე ევროკავშირის წევრი ქვეყნების ფარგლებში თანამშრომლობის ხელშეწყობის ფუნდამენტური წინაპირობაა.

რაც შეეხება სამოქალაქო საკითხებში **სასამართლო თანამშრომლობას**, საქართველო ჯერ არ შეერთებია მნიშვნელოვანი კონვენციები, რომლებიც კერძო საერთაშორისო კანონის შესახებ ჰააგის კონფერენციის ფარგლებში შემუშავდა, მაგ კონვენციებს **სასამართლო დახმარების შესახებ** (1965 წლის კონვენციას “სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების უცხოეთში მომსახურების შესახებ” და 1970 წლის კონვენციას “სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში მტკიცებულების უცხოეთში გატანის შესახებ”) და **კონვენციებს ბავშთა დაცვის შესახებ** (1996 წლის კონვენციას მშობლების პასუხისმგებლობასთან და ბავშვთა დაცვისკენ მიმართულ ზომებთან დაკავშირებული იურისდიქციის, მოქმედი კანონმდებლობის, აღიარების, აღსრულებისა და თანამშრომლობის შესახებ).

## **6. ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, საინფორმაციო საზოგადოება, კვლევა და განვითარება**

რაც შეეხება საგზაო **ტრანსპორტს**, საქართველო განაგრძობდა საერთაშორისო მარეგულირებელ სისტემასთან მიერთების პროცესს და, პირველ რიგში, დაიწყო „საერთაშორისო ტრანსპორტირებაში ჩართული სატრანსპორტო საშუალებათა ჯგუფების მუშაობის შესახებ შეთანხმებასთან“ მიერთების პროცესი, ასევე, „საშიში საქონლის საავტომობილო გზებით საერთაშორისო ტრანსპორტირებაში ჩართული სატრანსპორტო საშუალებების შესახებ“ კონვენციასთან მიერთება. ავიაციის სფეროში საქართველომ უნდა განახორციელოს საგზაო რუკა, რომელიც ავიაციის უსაფრთხოების ევროპულმა სააგენტომ დაადგინა. რაც შეეხება საზღვაო სფეროს, 2012 წლის იანვარში ძალაში შევიდა კანონი მეზღვაურთა განათლების და სერტიფიცირების შესახებ, რომელიც შესაბამისობაშია ტრეინინგის, სერტიფიცირების და გემზე მორიგეობის სტანდარტების განმსაზღვრელ კონვენციასთან. ეს კანონი უნდა დაეხმაროს საქართველოს, დაიბრუნოს ევროკავშირის მიერ 2010 წლის მიწურულს გაუქმებული მეზღვაურთა სერტიფიკატების აღიარება. საქართველო განაგრძობდა ფლაგმანი სახელმწიფოს მიერ ინსპექტირების გამკაცრებული პოლიტიკის განხორციელებას. უსაფრთხოების პრობლემების აღმოფხვრის მიზნით პორტებში დაკავებული საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემების რაოდენობა 2009 წლის 28%-თან შედარებით 2011 წლის განმავლობაში 6%-ით შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დროშა ჯერ კიდევ შეტანილია პორტის სახელმწიფო კონტროლის შესახებ პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმის შავ სიაში, ის ამ სიის „მაღალი რისკის“ კატეგორიიდან ამოღებულია.

საქართველო კვლავ რჩებოდა კასპიის ზღვის **ენერგორესურსების** სანდო სატრანზიტო ქვეყნად, მათ შორის ევროკავშირისთვის. საქართველომ გაზის ტრანსპორტირების სამხრეთის კორიდორის განვითარების სრული მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურა.

დაიწყო ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევა აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ურთიერთდაკავშირების პროექტის მოსამზადებლად, რომლის მიზანია შავი ზღვის გავლით თხევადი ბუნებრივი გაზის ექსპორტირება. საქართველო, აზერბაიჯანი, ლიტვა, პოლონეთი და უკრაინა განაგრძობდნენ ევროაზიური ნავთობის სატრანსპორტო კორიდორის განვითარებაზე მუშაობას. გაზის ქსელების რეაბილიტაცია გრძელდებოდა. საქართველომ დაასრულა გაზის მიწისქვეშა საცავის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაზე მუშაობა. გათვალისწინებულია ამ საცავის გამოყენება ქვეყნის და რეგიონის ენერგოუსაფრთხოების განსამტკიცებლად. საქართველო კვლავაც აქტიური დამკვირვებლის როლს თამაშობდა ენერგოთანამეგობრობაში. განახლებადი რესურსებიდან მოპოვებული ელექტროენერჯის გამოყენებისა და ამ რესურსით ვაჭრობის წასახალისებლად, საქართველო განაგრძობდა ჰიდრო-გენერაციის სიმძლავრეებისა და შავი ზღვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას (აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი). მიმდინარეობს სომხეთსა და თურქეთთან დამაკავშირებელი ელექტროენერჯის გადამცემი ხაზების მშენებლობა. ენერგოეფექტურობის უზრუნველყოფისთვის მეტი ძალისხმევაა საჭირო.

**კლიმატის ცვლილების** სფეროში მესამე კლიმატის კვირეული ჩატარდა, რომლის მიზანი იყო კლიმატის საკითხებზე საზოგადოებრივი დისკუსიის წახალისება და გათვითცნობიერებულობის ამაღლება. “სუფთა განვითარების მექანიზმის” ფარგლებში გაერო-ს დონეზე ახალი პროექტი არ დარეგისტრირებულა, ამდენად, დარეგისტრირებული პროექტების რაოდენობამ მხოლოდ ორი შეადგინა. სასურველია, რომ საქართველომ გაზარდოს შესაძლებლობები და ჩაერთოს ნახშირბადის ბაზრის ახალ მექანიზმში, რომელიც UNFCCC COP 17-ის შემდეგ უნდა შემუშავდეს. ასევე სასურველია, რომ საქართველომ სრულად შეასრულოს კანკუნის და დურბანის შეთანხმებები, კერძოდ კი შემოიღოს ნახშირბადის დაბალი შემცველობის დამკვიდრების სტრატეგია, მათ შორის რეგულარულად განახლოს ინფორმაცია მიზნის მიღწევის ან განხორციელებული ქმედებების შესახებ.

მეორე ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა 2012-2016 წლებისათვის ჯერ კიდევ არ არის მიღებული, არც გარემოს მდგომარეობის შესახებ ახალი ანგარიში შემუშავებულა. საქართველომ შეიმუშავა ახალი კანონი წყლის მართვის შესახებ და მიიღო ეროვნული სამოქმედო გეგმა მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ. საქართველომ ცვლილებები შეიტანა გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კანონში და სახელმწიფო ინტერესების შესაბამისი პროექტებისთვის გამონაკლისი დაუშვა. საშიში ნივთიერებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით შემუშავდა ვებსაიტი დამაბინძურებლების გარემოში გაშვებისა და გადატანის ეროვნული რეესტრის შესახებ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო გარემოს დაცვის სამინისტროდ გადაკეთდა. სამინისტროს პასუხისმგებლობათა ნაწილი სხვა სამინისტროებს გადაეცა. არ განხორციელებულა მნიშვნელოვანი ცვლილებები გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ კონვენციებთან და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ოქმებთან საქართველოს მიერ თების ან მათი რატიფიცირების კუთხით.

2011 წლის განმავლობაში კავკასიის რეგიონული საინფორმაციო ცენტრი აგრძელებდა საქმიანობას და ახდენდა მოსახლეობის ინფორმირებასა და მისი მონაწილეობის ხელშეწყობას. 2010 წლის ოქტომბერში ცენტრის დამფუძნებლები შეთანხმდნენ, რომ

სამომავლოდ, მათ სურთ, რომ ცენტრის როლი რეგიონში უფრო მნიშვნელოვანი გახდეს. ისინი ცდილობდნენ გადაეწყვიტათ ვალთან დაკავშირებული პრობლემა და შეთანხმდნენ, რომ ცენტრის რეგიონულ მთავრობათაშორის ორგანიზაციად გადაქცევა სასარგებლო იქნებოდა.

საქართველომ დაიწყო მთიანი რეგიონებისთვის **სამოქალაქო დაცვის** სამსახურის შექმნა. საქართველო, ასევე, უფრო ინტენსიურად თანამშრომლობდა რეგიონის ქვეყნებთან და მონაწილეობას იღებდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ბუნებრივი და ადამიანის ჩარევით გამოწვეული კატასტროფების პრევენციის, მზაობის და რეაგირების პროგრამაში და ამ გზით აწარმოებდა ევროკავშირთან წარმატებული პრაქტიკის გაცვლას კატასტროფების პრევენციის, მზაობის და რეაგირების სფეროში.

საინფორმაციო საზოგადოების სფეროში მიმდინარეობდა მარეგულირებელი რეფორმის განხორციელება. მობილური სატელეფონო ბაზარი საშუალო ტემპით განაგრძობდა ზრდას. ფიქსირებული სატელეფონო ქსელის განვითარება საქართველოში შეფერხებულია. დასახული მიზანი – 100%-ით ციფრული სისტემის დანერგვა – ჯერ არ არის მიღწეული. ბროდბენდ ინტერნეტი სწრაფად განვითარდა; 2011 წლის მიწურულისთვის ინტერნეტით მოსარგებლეთა უდიდესი ნაწილი სწორედ ბროდბენდ ინტერნეტის მომხმარებელია.

**კვლევისა და ინოვაციების** სფეროში ინვესტირება კვლავ შედარებით დაბალ დონეზე რჩება. მონაწილეობის თვალსაზრისით საქართველო კვლავაც კარგად იყო წარმოდგენილი კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მეშვიდე ჩარჩო პროგრამაში (FP7). გაიზარდა წარმატებული განაცხადების რაოდენობა. დღეისათვის 36 ქართული კვლევითი ორგანიზაცია 26 პროექტშია ჩართული. პროექტების ყველაზე დიდი რაოდენობა მოდის კვლევითი ინფრასტრუქტურის სფეროში, მარი კიურის სტიპენდიის აქტივობაზე, ჯანდაცვის სფეროში კვლევის და საერთაშორისო თანამშრომლობის აქტივობებზე. საქართველომ უფრო ინტენსიურად უნდა მიიღოს მონაწილეობა კვლევით თემებში თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში და დაასახელოს საკონტაქტო პირები სამართლებრივ და ფინანსურ საკითხებში.

რეგიონული პოლიტიკისა და ევროკომისიასთან რეგიონული პოლიტიკის სფეროში დიალოგის შესახებ შეთანხმების კონტექსტში, საქართველომ გამოთქვა ინტერესი, განიმტკიცოს სტრატეგიის შემუშავებისთვის საჭირო შესაძლებლობები. ეს საკითხები შემუშავდება და აისახება მშვიდობის, აღდგენის და განვითარების პროგრამაში, რომელიც რეგიონული განვითარების დიდ მიმდინარე პროგრამაში იქნება ინტეგრირებული.

## **7. ადამიანებს შორის კონტაქტები, განათლება და ჯანდაცვა**

**განათლების** სფეროში მასწავლებლეთა სერტიფიცირების პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით 2011 წლის ივლისში დაიწყო. 2010 წელს დაწყებული რეფორმები, რომელიც მიზანდასახულია განათლების სისტემის ბოლონის პროცესის შესაბამისად მოდერნიზაციას, კვლავაც გრძელდებოდა და სადოქტორო ხარისხის ეტაპს მიაღწია. 2011 წელს შემუშავდა განათლების ხარისხის ეროვნული ჩარჩო განათლების მთელი სისტემისთვის (მათ შორის ბაკალავრის, მაგისტრის და პროფესიული განათლების

ხარისხებისთვის). 2011 წლის მარტში განათლების და მეცნიერების სამინისტროში წარმატებით დასრულდა ევროკავშირის „დამძობილების“ პროექტი, რომელმაც ძირითადი ყურადღება დაუთმო უმაღლესი განათლების სფეროს და ბოლონის პროცესს.

საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმის მხარდაჭერა ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობის და დახმარების პროგრამა “ტემპუსის” მეშვეობით ხორციელდებოდა. “ტემპუს IV”-ს კონკურსის საფუძველზე 2011 წელს შეირჩა ხუთი დამატებითი პროექტი. პროექტები ისეთ თემებს შეეხებოდა, როგორცაა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია, უნივერსიტეტებსა და საწარმოებს შორის პარტნიორობა, სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია, მიგრაცია და უნარები, რეგიონული ინტერდისციპლინარული სამაგისტრო კვლევები ენერგეტიკასა და გარემოსდაცვით კანონმდებლობაში. 2011 წელს საქართველო განაგრძობდა აქტიურ მონაწილეობას „ერაზმუს მუნდუსის“ გაცვლით პროგრამებში. ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 63 გრანტი სტუდენტებისა და მეცნიერების მობილურობის ხელშესაწყობად. **პროფესიულ განათლებასა და ტრეინინგთან დაკავშირებით** საქართველომ განაგრძო 2010 წელს დაწყებული რეფორმები 2009–2012 წლების საშუალოვადიანი სტრატეგიის საფუძველზე. ამ ძალისხმევას ევროკავშირი პროგრამის საშუალებით (19 მლნ ევრო) გამოეხმარა და დაეხმარა სოციალური პარტნიორობის მონაწილეობით სამხრეთი დიალოგის ინსტიტუციონალიზაციას. საქართველომ განსაკუთრებულ წინსვლას მიაღწია ინფრასტრუქტურის დახვეწის, ხარისხის ამაღლების და რეაბილიტაციის საქმეში. ევროპის ტრეინინგის ფონდმა მხარი დაუჭირა ოთხ პროექტს, ესენია: მიგრაციის და უნარების კვლევა, „მცირე ბიზნესის აქტის“ შეფასება, პროფესიული განათლების პროგრამების შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირების პროექტი და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პოლიტიკის შესახებ თანატოლთა სწავლების პროექტი.

დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები „კომენიუსის“ პროგრამის ელექტრონული დამძობილების კომპონენტში საქართველოს მონაწილეობისთვის. 2012 წლისთვის გათვალისწინებული ევროკავშირის ეს პროგრამა სკოლების ერთმანეთთან დაკავშირებას გულისხმობს; შეირჩევა პარტნიორობა დახმარების უწყება და მოხდება პოტენციური ბენეფიციარების/სკოლების შეფასება.

2011 წლის აპრილში აღმოსავლეთ პარტნიორობის მეოთხე პლატფორმის ფარგლებში საქართველომ კულტურული პოლიტიკის სფეროში რეგიონულ სემინარს უმასპინძლა. ქართული კულტურის სფეროში მოღვაწე შეიქმნა ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო თანამშრომლობის ექვს პროექტში, რომელიც კულტურის პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული ორი კონკურსის ფარგლებში 2009 და 2010 წლებში დაფინანსდა. ეს პროგრამა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე იმ ქვეყნებისთვის იყო გამოიზნული, რომლებმაც მოახდინეს კულტურული გამოხატვის დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ 2005 წლის იუნესკო-ს კონვენციის რატიფიცირება.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობით 2011 წელს შემუშავდა საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტის პროექტი, რომელიც ახალგაზრდობის სფეროში მომუშავე ძირითადი მოთამაშეების მონაწილეობით გამართული კონსულტაციების შედეგად შემუშავდა. მთავრობის მიერ მისი მიღება 2012 წლის გაზაფხულზე დაგეგმილი. იმ ქართველი ახალგაზრდების

რაოდენობა, რომლებმაც 2011 წელს „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ პროგრამის ფარგლებში არსებული გაცვლის შესაძლებლობებით ისარგებლეს 469-მდე გაიზარდა; 2010 წელს მათი რიცხვი 405-ს შეადგენდა.

საქართველო განაგრძობდა **ჯანდაცვის** სექტორში რეფორმების განხორციელებას. შემუშავდა ჯანდაცვის სტრატეგია 2011–2015 წლებისთვის, რომლის მიზანია ჯანდაცვის სექტორში უთანასწორობის აღმოფხვრა; მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, პაციენტის უფლებების დაცვა, დაავადებების პრევენცია, ჯანდაცვის სექტორის მართვის გაუმჯობესება და მისი ეფექტურობის გაზრდა. საქართველომ შემოიღო დაფინანსების სისტემა, რომელიც აუმჯობესებს პაციენტის ჯანდაცვის დაფარვას. 2011 წლის ივნისში შეიქმნა ფსიქიკური ჯანმრთელობის და წამალმოკიდებულთა დახმარების ცენტრი ცენტრი, რომელსაც აქვს ფილიალები რეგიონებში.